



ბონივრულ ვადაში
გასამართლების უფლების შეფასება
მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ
მიმდინარე სისხლის სამართლის
საქმეებში



ავტორი - ბიორგი ტყეშელაშვილი

რედაქციონერი - ალექსანდრე მჭედველი
ბიორგი კაკუბავა

შენახალი

2012 წელს, ხელისუფლების ცვლილების შემდგომ, ინტენსიურად დაიწყო ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ პროცესმა საერთაშორისო სამოგადოების ყურადღება თავიდანვე მიიქცია და შემდგომ ეტაპზე თანდათან გააჩინა კითხვები სახელმწიფოში მართლმსაჯულების ორგანოების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თაობაზე¹.

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2020 წლის თებერვლიდან ახორციელებს სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგს. მათ შორის არის ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებიც². ერთი წლის მონიტორინგის პერიოდში, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები მხოლოდ 4 სასამართლო სხდომას დაესწრნენ. მეტი სხდომა იმ საქმეებზე, სადაც მიხეილ სააკაშვილი ფიგურირებს, არ ჩატარებულა. ყველა სხდომა გადაიღო ტექნიკურ ხარვეზზე მითითებით, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, რომ სასამართლო სხდომებზე ხმა არ ისმოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მონიტორინგის პერიოდი COVID-19-ის პანდემიას დაემთხვა, რამაც სასამართლო პროცესების შეფერხებაც გამოიწვია, შეიძლება ითქვას, გამოკვეთილია ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა - მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების სამართალწარმოება გაჭიანურებულია და ხელყოფილია ბრალდებულის უფლება სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისა და გონივრულ ვადაში საქმის განხილვის თაობაზე, რაც ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს და სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

წინამდებარე დოკუმენტში ასახული სამართლებრივი შეფასებები ემყარება ბრალდებულთა წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის მასალების ნაწილს, რაც ძირითადად ხელმისაწვდომი გახდა ბრალდებულთა ადვოკატების დახმარებით. დოკუმენტის მიზანს არ წარმოადგენს მოცემულ საქმეებში ბრალდებულ პირთა დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის დადგენა, არამედ შემოიფარგლება სამართლიანი სასამართლო განხილვისა და საქმის გონივრულ ვადაში განხილვის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და შეფასებით, როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დოკუმენტში, ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური გადაწყვეტილებების მისადაგების საფუძველზე, გაკეთებულია შედარებითი სამართლებრივი ანალიზი.

საქმეების ზოგადი მიმოხილვა

ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მასთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს.

პარლამენტის დეპუტატის, ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლომ გაავრცელა რელიზი, რომლის თანახმად, 2005 წლის 29 ივნისს, გაზეთ „რეზონანსში“ მიხეილ სააკაშვილისა და მისი ოჯახის წევრების შეურაცხყოფელი სტატიის გამოქვეყნების შემდგომ, მიხეილ სააკაშვილმა სტატიის ავტორის, ვალერი გელაშვილის სამაგალითო დასჯის მიზნით, პირადი შურისძიების მოტივით, საქართველოს თავდაცვის იმჟამინდელ მინისტრს, ირაკლი ოქრუაშვილს დაავალა ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება, რაზედაც

¹სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიში, OSCE/ODIHR. ვარშავა, 09.12.2014 წ. <https://www.osce.org/files/f/documents/0/1/116422.pdf>.

²იხ.: სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შემავარჯშებელი ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020. <https://bit.ly/3eeR2v9>.

უარი მიიღო. ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება დაავალა საქართველოს შინაგან საქმეთა იმჟამინდელ მინისტრს, ივანე მერაბიშვილს, რომელმაც მის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დახმარებით შეძლო დავალების შესრულება³.

2018 წლის 28 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. მასვე 3 წლის ვადით ჩამოერთვა დანიშნითი თანამდებობის დაკავების უფლება სახელწიფო სამსახურში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენებით⁴, დანიშნული სასჯელი შემცირდა 1/4-ით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, ხოლო თანამდებობის დაკავების უფლება სახელწიფო სამსახურში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ჩამოერთვა 2 წლისა და 3 თვის ვადით⁵.

მეორე საქმე, რომელზეც მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა, შეეხება **სანდრო გირგვლიანის საქმეს და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებას**. ბრალდების თანახმად, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კოორდინირებული და ურთიერთშეთანხმებული დანაშაულებრივი გეგმით, მოხდა სანდრო გირგვლიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა, გამოძიების გაყალბება, დანაშაულში ჩართული მაღალი თანამდებობის პირებისთვის ხელის დაფარვა და მათთვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდება. ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ მიხეილ სააკაშვილს 4 წლის ვადით პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ „ამნისტიის შესახებ“ კანონის საფუძველზე, სააკაშვილს სასჯელი აქვს შეუმცირდა და საბოლოო საპატიმრო ვადად 3 წელი განესაზღვრა. ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მიხეილ სააკაშვილს ორი წლის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშნითი თანამდებობის დაკავების უფლება, რაც ასევე, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით, შეუმცირდა და საბოლოოდ ერთი წლითა და ექვსი თვის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშნითი თანამდებობის დაკავების უფლება⁶.

მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ, ასევე, მიმდინარეობს რამდენიმე აქტიური სისხლის სამართლის საქმე, რომლებზეც სასამართლოს საბოლოო განაჩენი (გამამართლებელი ან გამამტყუნებელი) ჯერ არ გამოუტანია. კერძოდ:

- ✓ სისხლის სამართლის საქმე, სადაც გაერთიანებულია 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დაშლის, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის, პატარკაციშვილების ოჯახისთვის მთაწმინდის პარკისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამორთმევის ეპიზოდებში წარდგენილი ბრალდებები.
- ✓ სახელმწიფოს კუთვნილი ქონების გაფლანგვის საქმე, სადაც ბრალდებულები არიან მიხეილ სააკაშვილი (საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი) და თეიმურაზ ჯანაშია (სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი). მათ საქართველოს პროკურატურა დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვას ედავება.

2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დაშლის, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის და სხვა ეპიზოდებში წარდგენილი ბრალდების არსი

მიხეილ სააკაშვილს პირველი ბრალდება 2014 წლის 28 ივლისს წარედგინა 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დაშლის, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის, პატარკაციშვილების ოჯახისთვის მთაწმინდის პარკისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამორთმევის

³იხ.: თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადება: <https://bit.ly/3dcwt2P>.

⁴იხ.: საქართველოს კანონი ამნისტიის შესახებ: <https://bit.ly/3uGFGX8>.

⁵იხ.: თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადება: <https://bit.ly/3dcwt2P>.

⁶იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3mGHhto>.

ეპიზოდებზე. იგი ცნობილ იქნა ბრალდებულად სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით⁷. ამ ბრალდებების საქმეზე ექსპრეზიდენტს, 2014 წლის 2 აგვისტოს, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა⁸.

ბრალდების დადგენილების თანახმად, მიხეილ სააკაშვილის უშუალო დავალებით, საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, რუსთაველის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძალის დემონსტრირებისთვის გამოყვანილი იქნა თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, რაც მიზნად ისახავდა ტერიტორიაზე კონტროლის დამყარებას, მომიტინგეთა დაშინებას და მათი ხელახალი შეკრების აღკვეთას. გარდა ამისა, საქართველოს პროკურატურა სააკაშვილს ბრალს სდებს ძალოვანი უწყებების გამოყენებით „ტელეკომპანია იმედის“ მაუწყებლობის ბლოკირებას, ეთერიდან გათიშვასა და არკადი პატარკაციშვილის კუთვნილ შპს „ლინქის“ (მთანინდის პარკი) ტერიტორიაზე შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმების შეჭრასა და ბლოკირებას, ასევე, მისთვის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამორთმევას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მიმდინარეობისას ამ საქმის არსებითი განხილვის ეტაპი დაწყებულია, მაგრამ დაცვის მხარის შუამდგომლობების საფუძველზე, სასამართლო სხდომების მუდმივად გადაიდება. დაცვის მხარე მიუთითებს, რომ Covid-19-ის პანდემიიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომების დისტანციურად წარმართვა ტექნიკურ პრობლემებთანაა დაკავშირებული, მაგალითად, არ ესმით პროცესის მონაწილეთა ხმა.

სახელმწიფო კუთვნილი ეონების გაფლანგვის საქმეზე ნაყენებული ბრალდების არსი

მიხეილ სააკაშვილს ეს ბრალდება 2014 წლის 13 აგვისტოს წარედგინა. ბრალდების დადგენილების თანახმად, მას შემდეგ, რაც ბრალდებულმა მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო თანხები პირადი მიზნებისთვის, კერძოდ - მასაჟისტის მოწვევისთვის გახარჯა და ეს ინფორმაცია გასაჯაროვდა, მომავალში მსგავსი ინფორმაციის საზოგადოებაში გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, 2009 წლის აპრილში, მიიღო გადაწყვეტილება, მისი პირადი მიზნებისათვის საჭირო თანხების გასაიდუმლოებული ფორმით ხარჯვის თაობაზე. მიხეილ სააკაშვილი ბიუჯეტიდან საჭირო თანხების მობილიზებას ახდენდა მის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, საიდანაც მისი პირადი მიზნებისთვის განკუთვნილი ხარჯების დაფინანსება საიდუმლო რეჟიმში ხორციელდებოდა.

ბრალდების დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ დანაშაულებრივი გეგმის განხორციელება დაევალა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელს, თეიმურაზ ჯანაშიას, რომლის მეშვეობით, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით, მიხეილ სააკაშვილის მიერ ბიუჯეტის კუთვნილი თანხების პირადი მიზნებისათვის ხარჯვა შეინიღბა, როგორც „ფარული ხარჯები“. ასევე, მიხეილ სააკაშვილის მიერ გრიფით „საიდუმლო“ გამოცემული განკარგულებებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს უკანონოდ დაევალა საქართველოს პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების, ასევე მათი სტუმრების როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მგზავრობისა და ცხოვრების, კონსტიტუციური პროცედურების, კვების, სწავლის, საჩუქრებისა და სუვენირების შეძენის, საყოფაცხოვრებო და სხვა ხარჯების დაფინანსება. ბრალდების თანახმად, საერთო ჯამში გაიფლანგა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 8 837 461 ლარი.

⁷იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლ. 333(3). <https://bit.ly/3tm4Uts>.

⁸იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/328E9wO>.

ბიზნეს-პლანის ფაქტობრივი გარემოებები

სახელმწიფოს კუთვნილი ქონების გაფლანგვის საქმეზე, 2014 წლის 29 აგვისტოს, პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებით, ყადაღა დაედო ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის ქონებას. თავდაპირველად, საქართველოს პროკურატურა მოითხოვდა, ყადაღა დაედოდა როგორც ბრალდებულის, ასევე მასთან დაკავშირებული პირების (მეუღლის, შვილების, დედის, მამის და ბებულის) ქონებასა და საბანკო ანგარიშებს. თბილისის საქალაქო სასამართლომ საბანკო ანგარიშების დაყადაღების ნაწილში შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ პროკურატურას არ წარმოუდგენია რაიმე სახის დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა, საერთოდ ჰქონდა თუ არა ბრალდებულს ფულადი თანხები ან სხვა ფასეულობები მითითებულ ბანკებში. შესაბამისად ის აბსტრაქტულ საბანკო ანგარიშებზე ყადაღას ვერ დაადებდა.

თუმცა, სააპელაციო სასამართლომ ეს არგუმენტი არ გაიზიარა და 2019 წლის 3 სექტემბერს, მეორე მოსმენის გარეშე, შეცვალა პირველი ინსტანციის 29 აგვისტოს განჩინება და ყადაღა დაადო არა მხოლოდ ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის, არამედ მასთან დაკავშირებული პირების ქონებას და ბრალდებულის საბანკო ანგარიშებს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს პროკურატურის არგუმენტაცია ბრალდებულთან დაკავშირებული პირების ქონების დაყადაღების შესახებ დაუსაბუთებლად მიიჩნია და არ გაიზიარა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ ბრალდებულთან დაკავშირებული პირების და მათი ქონების არსებობა არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მოცემულ ქონებაზე ყადაღის დასადებად. ამისთვის აუცილებელი იყო კონკრეტული მტკიცებულებების წარდგენა. ქონებაზე ყადაღის დადება წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიებას, რომელიც ხორციელდება ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად. ამ ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას: ა) გადამაღავენ, ბ) დახარჯავენ, გ) ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული⁹. საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადებით ხდება ადამიანის ძირითადი უფლების, საკუთრების უფლების ხელყოფა. ამიტომ, ბრალდების შუამდგომლობა უნდა იყოს არგუმენტირებული, სასამართლომ კი უნდა განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა შუამდგომლობა ფაქტობრივ და ფორმალური საფუძვლებს და გადაწყვეტილება მასზე დაყრდნობით მიიღოს.

პროკურატურის შუამდგომლობა სრულად არც სააპელაციო სასამართლოს დაუკმაყოფილებია. ამასთან, არცერთმა ინსტანციამ არ გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა იმ ნაწილში, რომელშიც მოთხოვნილი იყო მემკვიდრეობით მიღებული ან 2009 წლის სექტემბრამდე შექმნილი ქონების დაყადაღება, რადგან წარდგენილ საქმეში გამოძიება ბრალდებულს ედავებოდა 2009 წლის სექტემბერიდან 2013 წლის 25 თებერვლამდე ჩადენილ ქმედებებს.

2020 წლის თებერვლიდან, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის მიმდინარეობისას, 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დაშლის, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის, პატარკაციშვილების ოჯახისთვის მთაწმინდის პარკისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამორთმევის ეპიზოდებში წარდგენილი ბრალდებებზე საქმის არსებითი განხილვა დაწყებულია. დისტანციური ფორმით ჩატარდა 4 სასამართლო სხდომა, მაგრამ დაცვის მხარის შუამდგომლობების საფუძველზე, სასამართლო სხდომები გადაიდო. კერძოდ, დაცვის მხარემ, ოთხივე სასამართლო სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადებისთან დაკავშირებით. დაცვამ განმარტა, რომ ტექნიკური ხარვეზიდან გამომდინარე, არაფერი ესმოდა. ამასთან, სასამართლო საქმის განხილვის ვადებში არ იყო შემზღვეული, რადგან პროცესი წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზეა და 100 ტომიდან 1-2 ტომის გამოკვლევა/არგამოკვლევა გავლენას ვერ მოახდენს საქმის არსებით განხილვაზე. დამატებით, დაცვის მხარის შეფასებით, პრაქტიკაც ისე ჩამოყალიბდა, რომ მხოლოდ იმ საქმეების

⁹იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 190. <https://bit.ly/3mKZCFE>.

განხილვა იმართება დისტანციურად, სადაც ვადებია შეზღუდული. შესაბამისად, უკეთესი იქნებოდა, თუ პანდემიის შემდეგ განახლდებოდა სასამართლო პროცესი.

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე მხოლოდ სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოებისას. ამ უფლების დიდ მნიშვნელობასა და მის ფუნდამენტურობას ნათლად მონიშნავს ის ფაქტი, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა უმრავლესობა სწორედ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას ეხება. კონვენციის მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიები უფრო ყოვლისმომცველია სისხლის სამართალწარმოებისას, ვიდრე სამოქალაქო სამართალწარმოებისას. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ზოგადი უფლება სამართლიან სასამართლო უფლებაზე, რომელიც მოცემულია კონვენციის მე-6(1) მუხლში, განმტკიცებულია კონკრეტული გარანტიებით, რომლებიც მოცემულია მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლება ვრცელდება არა მარტო სასამართლო განხილვასა და მის წინმსწრებ ეტაპებზე, არამედ თანმდევ ეტაპებზეც, როგორც არის სასამართლო განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება. ანალოგიური მიდგომა გამოამყარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საქმეზე *Assanidze v. Georgia*, რომელიც ეხებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სისხლის სამართალწარმოების საქმეზე გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის აღუსრულებლობას თითქმის 3 წლის მანძილზე¹⁰.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მიუთითებს კონკრეტულად სამართლიან სასამართლო განხილვაზე, იგი გამოიყენება არა მარტო თვით განხილვასთან მიმართებით, არამედ იმ ეტაპების მიმართაც, რომლებიც წინ უსწრებენ და თან სდევნენ სასამართლო განხილვას. ***სისხლისამართლებრივ საქმეებთან დაკავშირებით, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედების სფეროში ხვდება წინასასამართლო ეტაპებზე ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ განხორციელებული გამოძიების პროცესიც***¹¹.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე „ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამართლიანი სასამართლოს უფლება არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის (სარჩელის შეტანის) შესაძლებლობას გულისხმობს, არამედ უზრუნველყოფს ადამიანის სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას. სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირველ რიგში, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ გადაწყვეტილების (ქმედების) სასამართლოში გასაჩივრებას და სამართლებრივ შეფასებას, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს. ამასთან, იმისათვის, რომ შედგეს კონკრეტული დავის სამართლიანი განხილვა და მიღებულ იქნეს ობიექტური გადაწყვეტილება, ეს უფლება მოიცავს შესაძლებლობათა შემდეგ მინიმუმს: პირის უფლებას, მიმართოს სასამართლოს, მოითხოვოს მისი საქმის სამართლიანი საჯარო მოსმენა, გამოთქვას თავისი მოსაზრებები და დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით. ***სასამართლო განხილვა უნდა მოხდეს გონივრულ, შემჭიდროებულ ვადებში და საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა, მიუკერძოებელმა სასამართლომ***¹². ***საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ასევე ნათლად გამოიკვეთა სამართლიანი სასამართლოს უფლების კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპსა¹³ და კანონის უზენაესობის პრინციპთან¹⁴.***

¹⁰ იხ.: საქმე *Assanidze v. Georgia*, ECHR. 8 აპრილი, 2004 წელი.

¹¹ იხ.: საქმე *Imbroscia v. Switzerland*, ECHR. 24 ნოემბერი, 1993 წელი.

¹² იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 1

¹³ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 საქმეზე, II, პარ. 1

¹⁴ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

განსაზრებების უფლება გონივრულ დროში

ექსპრემიდენტ მიხეილ სააკაშვილის და მასთან ერთად სხვების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში, რომელთა წარმოებაც თითქმის 7 წელია დაწყებულია, წლების განმავლობაში პრობლემად რჩება სასამართლო სხდომების გაჭიანურება, რაც ზიანს აყენებს სასამართლო სისტემის რეპუტაციას, მართლმსაჯულების ეფექტიანობას, ზოგადად, მის მიმართ საზოგადოების ნდობას.

სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც გარანტირებულია როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე - საერთაშორისო სტანდარტებით, საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით¹⁵.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს საქმის გონივრულ ვადებში განხილვის უფლებას, რაც თავის მხრივ, აისახება სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და გონივრულად სწრაფ მართლმსაჯულებაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ბრალდებულის უფლებას სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებაზე, მაგრამ ამ უფლებაზე უარის თქმა შესაძლებელია დაცვის სათანადოდ მოსამზადებლად¹⁶. იგი აგრეთვე ავალდებულებს სასამართლოს, პრიორიტეტულად მიიჩნიოს საქმეები, სადაც ბრალდებულები პატიმრობაში იმყოფებიან¹⁷.

დღესდღეობით ამ საქმის მონაწილე ბრალდებულები - მიხეილ სააკაშვილი და თეიმურაზ ჯანაშია პატიმრობაში არ იმყოფებიან. თეიმურაზ ჯანაშია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად არჩეულია საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრად პარტიული სიით (ბლოკი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“)¹⁸. ექსპრემიდენტ მიხეილ სააკაშვილს კი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული, მაგრამ ვინაიდან იგი უკრაინაში იმყოფება, მისი დაკავება არ მომხდარა.

2015 წლის 17 თებერვალს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უკრაინიდან მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის ექსტრადიციასთან დაკავშირებით ინფორმაცია გაავრცელა, რომლის თანახმად, „ვინაიდან მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს საქართველოში წაყენებული აქვთ ბრალდებები და მათ მიმართ გამოცხადებულია ძებნა, ამასთან, ადეიშვილი იძებნება წითელი ცირკულარით, და ასევე, ვინაიდან მოპოვებული ინფორმაციით, ხსენებული პირები იმყოფებიან უკრაინაში, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უკრაინის გენერალურ პროკურატურას მიმართა ხსენებულ პირთა დადგენა-დაკავებისა და ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობებით“¹⁹.

პროკურატურის ცნობით, უკრაინასა და საქართველოს შორის ძებნილ პირთა ექსტრადიცია ხორციელდება „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციით²⁰,

¹⁵ იხ.: ICCPR, მუხლი 9(3) და ECHR, მუხლი 5(3) უზრუნველყოფენ ყოველ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის „გონივრულ ვადაში გასამართლების ან გათავისუფლების“ უფლებას. ICCPR, მუხლი 14(3)(გ) უზრუნველყოფს „შედმეტი დაყოვნების გარეშე“ გასამართლების უფლებას ყველა იმ პირისთვის, ვინც სისხლის დანაშაულშია ბრალდებული და ასევე ECHR, მუხლი 6(1) უზრუნველყოფს ყოველი პირის „სამართლიანი საჯარო სასამართლო პროცესის უფლებას გონივრულ ვადაში“.

¹⁶ იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8(2) მუხლი. <https://bit.ly/37q4M2e>.

¹⁷ იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8(3) მუხლი. <https://bit.ly/37q4M2e>.

¹⁸ იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3dl7QeB>.

¹⁹ იხ.: ინფორმაციას სრულად: <https://bit.ly/2Po3obH>.

²⁰ იხ.: ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ, სტრასბურგი, 1959 წლის 20 აპრილი. <https://bit.ly/2PeudPt>.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის 1993 წლის კონვენციითა და „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოსა და უკრაინის შორის 1995 წელს დადებული ორმხრივი ხელშეკრულებით. ამ საერთაშორისო ხელშეკრულებებით მხარეები ვისრულობენ ვალდებულებას, ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად, განიხილონ და გადასცენ ერთმანეთს ძებნილი პირები. 2015 წელს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უკრაინის გენერალურ პროკურატურას მიმართა მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის დაკავებისა და ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობებით. მიუხედავად ქვეყნებს შორის ექსტრადიციის სფეროში არსებული ვალდებულებებისა, უკრაინის მხარეს მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის საქართველოში ექსტრადიციის საკითხზე საქართველოს მთავარ პროკურატურასთან არ უთანამშრომლია და დღემდე უარს აცხადებს ძებნილი პირების ექსტრადირებაზე²¹. უკრაინის მხრიდან უარის საფუძვლად „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის პირველ პუნქტზე მიუთითებდნენ, რომლის თანახმად, „*ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუკი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის გადაცემა, თხოვნის მიმღები მხარის მიერ განიხილება პოლიტიკურ დანაშაულად ან დანაშაულად, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ დანაშაულთან*“.

ამჟამად მიხეილ სააკაშვილი უკრაინის მოქალაქეა. 2020 წლის 7 მაისიდან, იგი უკრაინის რეფორმების საბჭოს ხელმძღვანელია.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 პარაგრაფით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას ანიჭებს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლებას კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

გონივრულ დროში გასამართლების უფლება ათავისუფლებს სასამართლო პროცესის მოლოდინში მყოფ პირებს ხანგრძლივი გაურკვევლობისგან. გარდა ამისა, ეს უფლება ბრალდებულის თავისუფლების შემზღვეველი იმ ღონისძიებების მინიმუმაციას უწყობს ხელს, რომლებიც სასამართლო განხილვის მიზნებისთვის გამოიყენება.

სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განუხილველობა, თავის მხრივ, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას იწვევს. როგორც საქმეში *Zimmermann and Steiner v. Switzerland* სასამართლომ დაადგინა, სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, ისე მოაწყოს თავისი სამართლებრივი სისტემა, რომ მისცეს სასამართლოებს შესაძლებლობა, იმოქმედონ 6.1 მუხლის მოთხოვნების დაცვით, მათ შორის „გონივრულ ვადაში“ საქმის განხილვის მოთხოვნის დაცვით²². ეროვნულ დონეზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ბრალდებულის უფლებას სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებაზე, მაგრამ ამ უფლებაზე უარის თქმა შესაძლებელია დაცვის სათანადოდ მოსამზადებლად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, იმისათვის, რომ დადგინდეს, საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: 1) **საქმის სირთულე** შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან²³; რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან²⁴; მტკიცებულებების გამოკვლევასთან და სხვ. გარდა ამისა, საქმის განხილვა შეიძლება გაჭიანურდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, მაგრამ ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი²⁵. 2)

²¹იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3sSPPip>.

²²იხ.: საქმე *Zimmermann and Steiner v. Switzerland*, ECHR. 13 ივლისი, 1983 წელი. <https://bit.ly/3uL0hcU>.

²³იხ.: საქმე *Katte Klitsche de la Grande v. Italy*, §55, ECHR. 20 ოქტომბერი, 1975.

²⁴იხ.: საქმე *Handyside v. United Kingdom*, §72, ECHR. 1985 წელი.

²⁵იხ.: საქმე *Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania*, §150, ECHR. 29 ნოემბერი, 2016 წელი.

მხარეთა მოქმედებები გულისხმობს, მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას²⁶, შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან²⁷; ასევე - სხვა მოქმედებებს, რაც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას. 3) **საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები** - ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ ჩაუტარებლობას²⁸.

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საკითხი - საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა, უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით²⁹ და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად³⁰.

პროცედურული შეყოვნებები და საქმის განხილვის გადადება

მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში მნიშვნელოვანი პრობლემა სწორედ პროცედურული შეყოვნებებია. საანგარიშო პერიოდში, რამდენჯერმე გადაიდოს საქმის განხილვა. კერძოდ, 2020 წლის თებერვლიდან მონიტორინგი განხორციელდა 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დაშლის, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის, პატარკაციშვილების ოჯახისთვის მთაწმინდის პარკისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამორთმევის ეპიზოდების 4 სასამართლო სხდომაზე³¹. ამასთან, ყველა სხდომა გადაიღო ტექნიკურ ხარვეზზე მითითებით, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, რომ პროცესზე, რომელიც დისტანციური ფორმით მიმდინარეობდა, ხმა არ ისმოდა.

COVID-19-ის გამო გამოწვეული პანდემიის შემდეგ, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით, სასამართლო სხდომების დისტანციურად წარმართვამ ტექნიკური ხასიათის არაერთი განმეორებადი პრობლემა წარმოშვა. თუკი ერთდროულად ორი ან მეტი პირი საუბრობდა, ხმა აღარ ისმოდა და პროცესის მონაწილეებს, მათ შორის - მოსამართლეებსაც, უწევდათ დასმული შეკითხვის გამეორება, რაც აჭიანურებდა და შეუძლებელს ხდიდა სხდომების გაგრძელებას. არაერთხელ დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასამართლოს სხდომის მონაწილეების ხმა მეორდებოდა ან/და გაუგებრად ისმოდა. ამასთან, წარმოიშვა სხდომათა საჭაროობის, ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის და მოწმეთა დაკითხვის პრობლემები. სასამართლო ხელისუფლება კი, მსგავსი გამოწვევისთვის მზად არ აღმოჩნდა³².

მიხეილ სააკაშვილისა და სხვათა წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის საქმეთა არსებითი განხილვის შეყოვნებები ხელს უწყობს სასამართლო პროცესის გაჭიანურებას და პოტენციურ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს სწრაფი მართლმსაჯულების უფლებაზე.

სასამართლო პროცესის მართვა

სასამართლო პროცესის ეფექტური მართვა, რაც დაკავშირებულია ბრალდებულის გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებასთან, სრულად სასამართლოს პასუხისმგებლობის საკითხია. სისხლის სამართლის პროცესის მხარეთა დისკრეცია, გადანწყვიტონ მტკიცებულებათა რიგითობისა და მოცულობის საკითხი, როგორც ეს განერილია სისხლის სამართლის

²⁶იხ.: საქმე Konig v. Germany, §103, ECHR. 28 ივნისი, 1978 წელი.
²⁷იხ.: საქმე Acquaviva v. France, §61, ECHR. 21 ნოემბერი, 1995 წელი.
²⁸იხ.: საქმეები Pafitis and others v. Greece; §93; Tiece v. San Marino; §31; Sorme- li v. Germany, §129. ECHR.
²⁹იხ.: საქმე Frydlander v. France, §43, ECHR. 27 ივნისი. 2000 წელი.
³⁰იხ.: საქმე Konig v. Germany, §98, ECHR. 28 ივნისი, 1978 წელი.
³¹ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიშები: **26.06.2020; 11.09.2020; 02.02.2021**.
³²იხ.: დისტანციურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები კორონავირუსის პანდემიისა და საგანგებო მდგომარეობის პირობებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020. <https://bit.ly/3sxi9ux>.

საპროცესო კოდექსში, სასამართლოს არ ათავისუფლებს ვალდებულებებისგან, უზრუნველყოს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება.

როგორც სასამართლო სხდომების მონიტორინგისა და სისხლის სამართლის საქმეების სხვა მასალების შესწავლით ირკვევა, სასამართლო ხშირად უგულვებელყოფს არსებული დებულებების გამოყენებას, რაც პროცესის მართვის ჯეროვნად განხორციელებას უშლის ხელს. ამასთან, მოსამართლეები ვერ აკონტროლებენ განრიგს და ვერ ითვალისწინებენ ბრალდებულის უფლებას სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებაზე; ამის საპირისპიროდ, ისინი ეყრდნობიან ბრალდებისა და დაცვის მხარისთვის უფრო ხელსაყრელ განრიგს. აქედან გამომდინარე, პროცესის არასწორი მართვა იწვევდა და იწვევს შეყოვნებებს, რაც ნეგატიურად მოქმედებს ბრალდებულთა გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებაზე.

რეკომენდაციები:

- *სასამართლომ საფუძვლიანად უნდა შეაფასოს სასამართლო განხილვების გადადების ან გადატანის გადაწყვეტილების შედეგები ბრალდებულთა გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებასთან მიმართებით;*
- *სასამართლომ სიღრმისეულად უნდა შეაფასოს ბრალდების ან დაცვის მხარის შუამდგომლობები სასამართლო განხილვების გადადების ან გადატანის მოთხოვნის შესახებ და შესაბამისი დასაბუთებულობისა და აუცილებელი საჭიროების არარსებობის შემთხვევაში, ისინი არ უნდა დააკმაყოფილოს;*
- *სასამართლოებმა უნდა დააკმაყოფილონ დაცვის დასაბუთებული მოთხოვნები მათთვის ადეკვატური დროის მიცემაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გავლენას ახდენს ბრალდებულის გონივრულ დროში გასამართლების უფლებაზე, რაც შეიძლება შეიზღუდოს ამ კონკრეტული მიზნით.*
- *სასამართლოები უზრუნველყოფილი იქნას გამართული ტექნიკური საშუალებებითა და ელექტრონული სამართალწარმოებისათვის აუცილებელი ეფექტური პროგრამებით.*